

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“
რექტორის 2015 წლის „29“ დეკემბრის N129 ბრძანების
დანართი

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების გეგმა

ზოგადად, როდესაც ვსაუბრობთ ხარისხზე და მის უზრუნველყოფაზე, ასევე ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავებაზე, მნიშვნელოვანია გავიაზროთ რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ. ტერმინი “ხარისხის” გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხარისხი შეიძლება განიხილებოდეს როგორც საბოლოო შედეგი, ასევე ამ შედეგის მიღწევის საშუალება, მაგ. განათლების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ხარისხი, ან სასწავლო უნივერსიტეტში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი, მომზადებული სახელმძღვანელო და ა.შ. ხარისხი ფასდება შიდა და გარე შემფასებელთა მიერ წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

ტერმინების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მივაქციოთ განსხვავებას ხარისხისა და სტანდარტის ცნებებს შორის: ხარისხი უკავშირდება პროცესს (მაგალითად, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი), მაშინ როდესაც სტანდარტი - დაგეგმილი ან რეალურად მიღწეული შედეგია.

არსებობს აკადემიური სტანდარტი, მომსახურების სტანდარტი და ხარისხის სტანდარტი.

- აკადემიური სტანდარტი განსაზღვრავს აკადემიური მიზნების მიღწევის გარკვეულ დონეს;
- მომსახურების სტანდარტი განსაზღვრავს მომსახურების დონეს;
- ხარისხის სტანდარტი წარმოადგენს პრაქტიკაში დასანერგ ოფიციალურ ნორმებსა და წესებს

ხარისხის უზრუნველყოფა ამ კონტექსტში შეიძლება გავიგოთ, როგორც ქმედება, რომელიც ხელს უწყობს განსაზღვრული სტანდარტის მიღწევას/შესრულებას.

საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები. ამ სტანდარტებით დადგენილი ნორმების შესრულების მონიტორინგი და სასწავლო უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის შეფასება სტანდარტებთან მიმართებაში არის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგიული გეგმის განუყოფელი ამოცანა. ასევე დაგეგმილია, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმაში.

მთავარი პრინციპები, რომელიც წარმოადგენს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგიული გეგმის ქვაკუთხედს:

1. სტუდენტებისა და გარე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში, რაც შექმნის მართვის გამჭვირვალე სისტემას;
2. თანამშრომლობის ახალი ფორმების შექმნა, რაც თავის მხრივ ურთიერთგაგებას გააუმჯობესებს;
3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
4. სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სწორი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გადაწყვეტილებების მიღება;
5. ინსტიტუციური იდენტობის დადგენა (რანი ვართ, საით მივდივართ?).

ამ პრინციპების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული პარადიგმას ხარისხის მართვაში ე.წ. PDCA მიდგომა,

P – Plan - დაგეგმე;

D – Do - განახორციელე;

C – Check - შეამოწმე;

A – Act - მოახდინე რეაგირება.



PDCA ციკლი დინამიური მოდელია. ციკლის ერთი ეტაპის დასრულება ნიშნავს მეორე ეტაპის დაწყებას და ა.შ. ეხმიანება რა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტს, PDCA პროცესი ყოველთვის შეიძლება თავიდან გაანალიზდეს და დაიწყოს ახალი ციკლი.

დაგეგმე

მიმდინარე გეგმები	მოკლევადიანი გეგმები	გრძელვადიანი გეგმები
<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო პროცესის მონიტორინგი • სწავლების პროცესის შეფასება • სწავლების შედეგების ანალიზი 	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შესწავლა/ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება პროგრამებში • ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების პერიოდული შესწავლა და შესაბამისად პროგრამების განვითარება-მოდიფიკაცია • საქართველოს მასშტაბით განსახორციელებელ კვლევით პროექტებში ჩართვა • ახალი კვალიფიციური კადრის მოძიება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შევსება • სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა • თანამედროვე ტექნოლოგიური მიდწევებისთვის თვალყურისმიდევნება, სასწავლო პროცესში მისი დანერგვის მიზნით • საგანმანათლებლო სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზაში შესული ცვლილებების ასახვა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამაზე/პროგრამებზე • სასწავლო უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელებაში მონაწილეობა 	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო კვლევებში ჩართვა • საერთაშორისო დასაქმების ბაზრის კვლევა და შესაბამისად პროგრამების განვითარება-მოდიფიკაცია • საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა და შესაბამისად პროგრამების განვითარება-მოდიფიკაცია • საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შემუშავება

განახორციელე-შეამოწმე		
ამოცანა	აქტივობა	განხორციელების მექანიზმი
პროგრამის შეფასება	კურიკულუმის შეფასება	სილაბუსის შეფასების ფორმის შევსება <ul style="list-style-type: none"> • დანართი B. სილაბუსის შეფასების ფორმა
	სილაბუსის შეფასება	სილაბუსის შეფასების ფორმას ავსებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სილაბუსისადმი შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, შევსებული ფორმა შენიშვნებით გადაეცემა შესაბამისი სილაბუსის ავტორს ხარვეზების აღმოსაფხვრელად და მიეცემა შესაბამისი ვადა. ავტორის მიერ გასწორებული სილაბუსის წარმოდგენისას, ივსება სილაბუსის შეფასების ახალი ფორმა.
პროგრამის განხორციელების მიმდინარე შეფასება	<ul style="list-style-type: none"> • ლექციების მიმდინარეობის პერიოდული მონიტორინგი • სილაბუსით დაგეგმილი სასწავლო აქტივობების შესრულების პერიოდული მონიტორინგი 	<p>უწყვეტი კავშირი სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ მასწავლებლებთან, სადაც ისინი დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არის თუ არა შექმნილი უნივერსიტეტში მეცადინეობებისთვის კომფორტული გარემო? (უსაფრთხოება, ტემპერატურა, განათება, სისუფთავე, აუდიტორიაში მერხებისა და სკამების განლაგება/რაოდენობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.) 2. არის თუ არა კომფორტული და ინფორმატიული უნივერსიტეტის ვებ-გვერდი/"MOODLE"? (უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაციის ინფორმაციის განლაგება, ინფორმაციის განახლება და ა.შ.) 3. გაკმაყოფილებთ თუ არა სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობა? (საინფორმაციო შეხვედრები, განცხადებებზე და წერილებზე დროული რეაგირება, ინფორმაციის დროულად და გასაგებად მიწოდება, დასმულ კითხვებზე კვალიფიციური, ოპერატიული, ამომწურავი და თავაზიანი პასუხები, გულისხმიერება, დახმარების გაწევა და ა.შ.) 4. მოსახერხებელია თუ არა სწავლების საფასურის დაფარვის სქემა? 5. ითვალისწინებს თუ არა სასწავლებელი თქვენს ინიციატივებს? (სასწავლო, შემოქმედებითი, სპორტული, გასართობი აქტივობები, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება და ა.შ.) 6. მისაღებია თუ არა ტრინემეტრში შეთავაზებული დატვირთვა? 7. მისაღებია თუ არა სასწავლო ცხრილი, ლექციებისა და შესვენების ხანგრძლივობა? 8. მოგწონთ თუ არა სასწავლო კურსი? (სასწავლო კურსის ფარგლებში მიწოდებული სალექციო მასალა, ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები და ა.შ.) 9. არის თუ არა გასაგები და ნათლად ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები, იცით თუ არა წინასწარ რა აქტივობაში რა ქულას იღებთ? 10. მოგწონთ თუ არა საგნის პედაგოგი (რჩება თუ არა გაუგებარი საკითხები ლექციის დასრულების შემდეგ, რამდენად დროულად ხდება შეფასების მიწოდება და მიღებული შედეგების განხილვა, არის თუ არა გამოსაკითხი მასალა და მიწოდებული მასალა თანხვედრაში და ა.შ.)?

		<p>11. ხელმისაწვდომია თუ არა სალექციო კურსების მოსამზადებლად საჭირო მასალები და უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი?</p> <p>12. სასწავლო პროცესის მიმდინარეობიდან გამომდინარე თვლით თუ არა, რომ უნდა გადაიხედოს: სასწავლო მასალა, სასწავლო კურსის დატვირთვა, სწავლების მეთოდები და აქტივობები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სასწავლო მასალა?</p> <p>და ა.შ.</p>
პროგრამის განხორციელების სემესტრული/ტრიმესტრული შეფასებები	სასწავლო კურსების შეფასება	<p>კითხვარების შევსება და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი C. სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის • დანართი D. სასწავლო კურსის შეფასების ფორმა პედაგოგისთვის • დანართი E. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი • დანართი F. სასწავლო კურსის დატვირთვის შეფასება პედაგოგის მიერ
	სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასება	<p>კითხვარების შევსება და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი G. პედაგოგის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის
	საწარმოო პრაქტიკის შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	<p>კითხვარების შევსება და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი H. საწარმოო პრაქტიკის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის
	სტუდენტთა შეფასებების რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი	<p>სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლების დათვლა, მათი პროცენტული განაწილების დადგენა და შესაბამისი გრაფიკული სურათების შედგენა.</p>
კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასება	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<p>კითხვარების შევსება და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> • დანართი I. კითხვარი სტუდენტებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ • დანართი J. კითხვარი პედაგოგებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ, რეცენზენტობის, ხელმძღვანელობის შესახებ
პროგრამის შედეგების შეფასება	სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების, პედაგოგებისა და პროგრამის შეფასება	<p>ინტერვიუები და მათი ანალიზი</p> <p>1. ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო გეგმით შეთავაზებული ყველაზე სასარგებლო და ყველაზე უსარგებლო სასწავლო კურსები • ყველაზე წარმატებული და ყველაზე სუსტი პედაგოგი • სამომავლო გეგმები (სწავლა: საქართველოში, საზრვარგარეთ, დასაქმება) • პოულობენ თუ არა კურსდამთავრებულები სწავლის დასრულების შემდეგ დროის მისაღებ პერიოდში მათი კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამის სამსახურს <p>2. ინტერვიულ დასაქმებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან:</p> <ul style="list-style-type: none"> • იყო თუ არა პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები დასაქმების ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი • დაეხმარა თუ არა მათ მიღებული განათლება კარიერულ წინსვლაში • იყო თუ არა ღიად დარჩენილი საკითხები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული სასწავლო პროგრამაში და აუცილებელი აღმოჩნდა სამუშაო ადგილზე
	პროგრამის შეფასება	<p>ინტერვიუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ თუ არა შესაბამისი ცოდნა და კომპეტენციები, რაც საჭიროა მათ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების გასაგრძელებლად • რა საკითხების დამატებას ისურვებდნენ საგანმანათლებლო პროგრამაში ამ უნარების გასამდიერებლად

		<p>ინტერვიუ დამსაქმებლებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ თუ არა შესაბამისი ცოდნა და კომპეტენციები, რაც საჭიროა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად • რა საკითხების დამატებას ისურვებდნენ საგანმანათლებლო პროგრამაში ამ უნარების გასაძლიერებლად ან/და რა დამატებითი ღონისძიებები შეიძლება გაატაროს საგანმანათლებლო დაწესებულებამ • უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე
	სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი	<p>შემდეგი მაჩვენებლების დათვლა და ანალიზი:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა/პროცენტი • პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის, მიღებული კონტინგენტის და კურსდამთავრებულთა რაოდენობების ფარდობა • წარმატებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობები მაღალი, საშუალო და დაბალი აკადემიური მოსწრების მიხედვით • მობილობით გადმოსული და გადასული სტუდენტების რაოდენობა • სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა

განავითარე

შემოწმების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია:

1. მოდიფიკაცია განიცადოს სასწავლო კურსის სილაბუსმა;
2. მოდიფიკაცია განიცადოს სასწავლო პროგრამამ;
3. შეიცვალოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა;
4. შეიცვალოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრირების გზები და მეთოდები;
5. შეიცვალოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აუცილებელი აქცენტი გაკეთდება ბიბლიოთეკაზე);
6. მოძიებულ იქნეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პარტნიორები;
7. მოძიებულ იქნეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კვლევითი პროექტები.

თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიში გვხმარება პასუხი გავცეთ ზემოთმოყვანილ კითხვებს და გამოვავლინოთ პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. ეს საშუალებას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ სამომავლო გეგმები და ვიზრუნოთ ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

დანართი A

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სწავლების საფეხური:

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებში:

საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სწავლების ენა:

პროგრამის ხელმძღვანელი:

1	საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნებს	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
2	შესწავლილია და დადგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭიროება	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
3	შესწავლილია დასაქმების ბაზარი და გამოვლენილია დასაქმების სფერო ან/და სავარაუდო პოზიციები	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
4	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობებში გათვალისწინებულია ის სავალდებულო ცოდნა და უნარები, რაც უნდა გააჩნდეს აპლიკანტს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების დასაძლევად	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
5	მითითებულია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
6	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
7	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
8	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მიღწევადია	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
9	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
10	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
11	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით შესაბამისი საფეხურის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
12	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
	სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტები პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
13	სასწავლო გეგმა შედგენილია ლოგიკურად - სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტების მარტივიდან რთულისკენ თანმიმდევრობის დაცვით და სწავლების შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
14	სტუდენტის დატვირთვა დათვლილია ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ECTS სისტემის მიხედვით	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
15	სასწავლო გეგმაში სასწავლო დატვირთვა გადანაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტზე და დაბალანსებულია სემესტრების/ტრიმესტრების და აკადემიური წლების მიხედვით	დიახ	არა

<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
16	სასწავლო გეგმაში სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტები გადანაწილებულია სასწავლო წლების/სემესტრების/ტრიმესტრების მიხედვით საკანონმდებლო ნორმების დაცვით	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
17	საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებისათვის დაანგარიშებული დატვირთვა შეესაბამება საშუალო სტუდენტისათვის საჭირო დროს, რომელსაც ის დასახული მიზნების მიღწევას ანდომებს	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
18	სწავლებისა და სწავლის მეთოდი შერჩეულია სასწავლო კომპონენტის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
19	შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
20	სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
21	გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისი წონების გადანაწილება ლოგიკურია და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევას	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
22	სწავლის შედეგების რუკა შეესაბამება სწორად	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
23	არსებობს საკმარისი სტრუქტურული რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
24	არსებობს საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
25	არსებობს საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
26	სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
	საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალით	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
27	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
28	საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის სილაბუსი	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
29	არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
30	საწარმოო პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში არსებობს ხელშეკრულებები/მემორანდუმები საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან	დიახ	არა	
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>				
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:				
თარიღი:				

დანართი B

სილაბუსის შეფასების ფორმა

სასწავლო კურსის დასახელება: _____

სასწავლო კურსის კოდი: _____

ავტორი: _____

საგანმანათლებლო პროგრამა: _____

1	სილაბუსში ნათლად და გასაგებად არის ფორმულირებული სასწავლო კურსის მიზნები	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
2	სასწავლო კურსის მიზანი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
3	სილაბუსში ნათლად და გასაგებად არის ფორმულირებული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
4	სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
5	სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანს	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
6	სილაბუსში მოცემულია სასწავლო კურსის კრედიტი	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
7	სასწავლო კურსის მოცულობა საათებში (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) გათვლილია საშუალო მოსწრების სტუდენტზე და სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების შესაბამისია	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
8	სილაბუსში გაწერილია სასწავლო კურსის შინაარსი (სასწავლო კვირებზე გადანაწილებული სალექციო თემატიკა)	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
9	სალექციო თემატიკა სწავლის შედეგების შესაბამისია	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
10	სილაბუსში გაწერილია სწავლებისა და სწავლის მეთოდები	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
11	სწავლებისა და სწავლის მეთოდები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისია	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
12	სილაბუსში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
13	შეფასების კრიტერიუმები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევის განსაზღვრას	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
14	სილაბუსში მოცემულია შეფასების მეთოდები	დიახ	არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>			
15	შეფასების მეთოდები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას	დიახ	არა

<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>		
16	სილაბუსში მოცემულია სასწავლო მასალა	დიახ არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>		
17	სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას	დიახ არა
<i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული შენიშვნები</i>		
შემმოწმბლის ხელმოწერა:		
თარიღი:		

სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის

პროგრამის დასახელება.....

სასწავლო კურსის დასახელება.....

პედაგოგი.....

სასწავლო კურსის ტიპი (მაგ.: ძირითადი, დამატებითი, არჩევითი).....

სასწავლო კურსის დონე (მაგ.: ბაკ., მაგისტ.).....

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა.....

N	კითხვა	სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები სრულად	მიჭირს პასუხის გაცემა
1	სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ შემიძლია ვუპასუხო კითხვას: რა ვისწავლე						
2	სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ შემიძლია ვუპასუხო კითხვას: რატომ ვისწავლე						
3	სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ შემიძლია ვუპასუხო კითხვას: რაში გამოვიყენებ მიღებულ ცოდნას და უნარებს						
4	სალექციო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები სწორად იყო შერჩეული და მაქსიმალურად უწყობდა ხელს სალექციო მასალის ათვისებას (მაგ. ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია და ა.შ.)						
5	სასწავლო კურსის ხანგრძლივობა უზრუნველყოფს სალექციო მასალის ათვისებას						
7	შეფასების კომპონენტები (პროექტი, კვიზი, საშინაო დავალება და ა.შ.) მისაღებია						
8	შეფასების კომპონენტების სიხშირე / პერიოდულობა მისაღებია						
9	შეფასების კომპონენტების ქულების გადანაწილება მისაღებია						
10	შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული დავალების მაქსიმალური ქულის ჩაშლა) უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას						

დამატებითი სიტყვიერი შეფასება

რა დროს ხარჯავთ საშუალოდ ყოველკვირულად სალექციო მასალის მომზადებისთვის:

ა) 0-4 საათი ბ) 5-8 საათი გ) 9-12 საათი დ) 12-16 საათი ე) 17 საათი და მეტი

თქვენი აზრით, რა შეფასებას იმსახურებთ ამ სასწავლო კურსში:

A, 91-100% B, 81-90% C, 71-80% D, 61-70% E, 51-60%

სასწავლო კურსის შეფასების ფორმა პედაგოგისთვის			
პროგრამის დასახელება:			
სასწავლო კურსის დასახელება:			
პედაგოგი:			
სასწავლო კურსის ტიპი (მაგ, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი):			
სასწავლო კურსის დონე (მაგალითად, ბაკ., მაგისტ.):			
ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:			
სწავლის შედეგები		დიახ	არა
1	მიღწეულ იქნა თუ არა სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის ყველა შედეგი?		
უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ სწავლის რომელი შედეგი ვერ იქნა მიღწეული და რატომ.			
სწავლების მეთოდები და აქტივობები		დიახ	არა
2	სალექციო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები სწორად იყო შერჩეული და მაქსიმალურად უწყობდა ხელს სალექციო მასალის ათვისებას (მაგ. დისკუსია, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.)		
უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რომელი მეთოდი იყო შეუსაბამო და რატომ.			
საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები		დიახ	არა
3	სალექციო მასალის ასათვისებლად საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები სწორად იყო დაგეგმილი (მაგ. საკონტაქტო 3 სთ, დამოუკიდებელი 6 სთ)		
უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რატომ და როგორი განაწილება იქნებოდა მიზანშეწონილი.			
შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები		დიახ	არა
4	შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სწორად იყო შერჩეული (მაგ. ტესტი, კაზუსი და ა.შ.)		
ვფიქრობ გარკვეული შეფასების მეთოდები იყო ზედმეტი. მაგალითად, ტესტები და ჯგუფური პრეზენტაციები			
შეფასების სიხშირე და ქულების გადანაწილება		დიახ	არა
5	შეფასების მეთოდების სიხშირე და ქულების გადანაწილება სწორად იყო დაგეგმილი (მაგ. 3 ტესტი თითოეული 5 ქულა)		
ქულების გადანაწილება სწორად იყო, თუმცა სამომავლოდ აჯობებს სიხშირის გადახედვა			
სალექციო თემატიკა		დიახ	არა
6	სალექციო თემატიკა სწორად იყო გადანაწილებული სალექციო კვირებზე და სრულად ფარავდა შესასწავლ საგანს		
უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რას შეცვლიდით და რატომ.			
ლიტერატურა		დიახ	არა
7	ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა სწორად იყო შერჩეული და უზრუნველყოფდა სწავლის შედეგის მიღწევას		
უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ რას შეცვლიდით და რატომ.			

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი

საგანმანათლებლო პროგრამა:.....

სწავლების საფეხური (მაგალითად, BA, MA):.....

სწავლების წელი:.....

შეფასეთ შესაბამისი შკალით: 5=ძალიან მნიშვნელოვანია, 4=მნიშვნელოვანია, 3=მიზანშეწონილია, 2=სასურველია, 1=უმნიშვნელოა

N	სასწავლო კურსი	სასწავლო კურსი სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად				
		1	2	3	4	5
1						
2						
3						
4						
რომელი სასწავლო კურსის ამოღებას ისურვებდით სასწავლო გეგმიდან და მის ნაცვლად რომელი სასწავლო კურსის დამატებას ისურვებდით და რატომ?						

დანართი F

სასწავლო კურსის დატვირთვის შეფასება პედაგოგის მიერ			
პროგრამის დასახელება:			
სასწავლო კურსის დასახელება:			
პედაგოგი:			
სასწავლო კურსის ტიპი (მაგ, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი):			
სასწავლო კურსის დონე (მაგალითად, ბაკ., მაგისტ.):			
ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:			
სასწავლო კვირა	თემატიკა	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
სულ			

პედაგოგის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის

საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო კურსის დასახელება.....

სასწავლო კურსის დონე (მაგ.: ბაკ., მაგისტ.)

პედაგოგის სახელი, გვარი.....

N	კითხვა	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები სრულიად	მიჭირს პასუხის გაცემა
1	ლექტორი კვალიფიციურია და პროფესიონალურ დონეზე ფლობს საგანს						
2	ლექტორი უზრუნველყოფს თეორიული მასალის განმტკიცება-განზოგადებას პრაქტიკული აქტივობებით (მაგ: ქეისი, პრაქტიკული სავარჯიშო და ა.შ.)						
3	ლექტორი საინტერესოდ ატარებს ლექციას						
4	ლექტორი უზრუნველყოფს დისკუსიის წამოწყებასა და სტუდენტების ჩართვას, ინტერაქციას						
5	ლექტორი დასმულ კითხვებზე პასუხობს ამომწურავად						
6	ლექტორი უზრუნველყოფს დისციპლინას აუდიტორიაში						
7	ლექტორი არის მოწესრიგებული, კარგად მართავს სალექციო დროს (დაწყება, შესვენება, დასრულება)						
8	სალექციო კურსი მიჰყვება სილაბუსს (ლექტორი ასრულებს სილაბუსით დაგეგმილ აქტივობებს, იყენებს						
9	ლექტორი სტუდენტებს აფასებს სამართლიანად და მათ მიმართ იყენებს ერთნაირ მიდგომას						
10	ლექტორი თანამიმდევრულია შეფასებაში (ქვიზებში / წერილობით დავალებებში / გამოცდებზე და ა.შ მოცემული საკითხები შეესაბამება განვლილ სასწავლო მასალას)						
11	ლექტორი დროულად აცნობს სტუდენტებს შეფასებებს („შეფასების დროულობაში“ იგულისხმება ქვიზის, შუალედური გამოცდის დაწერის და დავალების/პროექტის ჩაბარების თარიღიდან ერთი კვირის ვადა)						
12	ლექტორი სტუდენტებს აძლევს უკუკავშირს, როგორ გააუმჯობესონ მიღებული შედეგები						
13	ლექტორი მზადაა დამატებითი დახმარების გასაწევად (მაგ: კონსულტაციები, კითხვებზე პასუხი და ა.შ) პროფესიული და აკადემიური მიმართულებით						
დამატებითი სიტყვიერი შეფასება							

მენტორი კომპეტენტურია და ფლობს შესაბამის ცოდნასა და უნარებს

- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები ნაწილობრივ ვეთანხმები არ ვეთანხმები
 არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა

სტუდენტთა შემდეგ მიღებას ამ მენტორის მოსმენას:

- აუცილებლად ვურჩევ ვურჩევ ნაკლებად ვურჩევ არ ვურჩევ მიჭირს პასუხის გაცემა

საწარმოო პროექტის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის

საგანმანათლებლო პროგრამა:.....

სასწავლო კურსის დასახელება:.....

პროექტის ობიექტის დასახელება:

პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი:.....

შეფასეთ შესაბამისი შკალით: 1=ძალიან კარგი, 2=კარგი, 3= საშუალო, 4=ცუდი, 5=ძალიან ცუდი

N	კითხვა	1	2	3	4	5
1	პროექტის ობიექტი შერჩეული იყო სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ადეკვატურად					
2	საწარმოო პროექტის ობიექტზე შექმნილი იყო სწავლებისთვის კომფორტული გარემო					
3	პროექტის სრულად მოიცვა სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები					
4	რეალურ სამუშაო გარემოში არსებული სიტუაციები მაქსიმალურად ახლოს იყო სააუდიტორიო გარემოში შესწავლილ მასალასთან					
5	პროექტის ხელმძღვანელი ამომწურავად პასუხობდა დასმულ კითხვებს					
6	პროექტის ხანგრძლივობა საკმარისი იყო სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად					
7	პროექტი სწორად იყო დაგეგმილი და ორგანიზებული					
8	პროექტი დაგეგმვარა სასწავლო მასალის უკეთ ათვისებაში					
9	პროექტზე იყო მუდმივი უკუკავშირი მიღწეული შედეგების შესახებ					
10	პროექტი იყო საინტერესო					
დამატებითი სიტყვიერი შეფასება						

დანართი I

კითხვარი სტუდენტებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა:.....

სწავლების საფეხური (მაგალითად, BA, MA):.....

სწავლების წელი:.....

სტუდენტის სახელი, გვარი:.....

N	კითხვა	დიახ	არა
1	<p>მონაწილეობდით თუ არა კვლევით პროექტში?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: პროექტის დასახელება, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი</p>		
2	<p>მონაწილეობდით თუ არა სამეცნიერო კონფერენციაში?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: კონფერენციის დასახელება, თარიღი</p>		
3	<p>გამოაქვეყნეთ თუ არა სტატია?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: სტატიის დასახელება, თარიღი, ჟურნალის/გაზეთის/წიგნის დასახელება</p>		

დანართი J

კითხვარი პედაგოგებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ, რეცენზენტობის, ხელმძღვანელობის შესახებ

1. საგანმანათლებლო პროგრამა:.....
2. სწავლების საფეხური (მაგალითად, BA, MA):.....
3. აკადემიური თანამდებობა:.....
4. პედაგოგის სახელი, გვარი:

N	კითხვა	დიახ	არა
1	მონაწილეობდით თუ არა კვლევით პროექტში?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: პროექტის დასახელება, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი		
2	მონაწილეობდით თუ არა სამეცნიერო კონფერენციაში?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: კონფერენციის დასახელება, თარიღი		
3	გამოაქვეყნეთ თუ არა სტატია?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: სტატიის დასახელება, თარიღი, ჟურნალის/გაზეთის/წიგნის დასახელება		
4	იყავით თუ არა რეცენზენტი?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ სტუდენტთა რაოდენობა		
5	იყავით თუ არა ხელმძღვანელი?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ სტუდენტთა რაოდენობა		

უსდ–ს შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის

1. უნივერსიტეტში არის კომფორტული გარემო (უსაფრთხოება, ტემპერატურა, განათება, სისუფთავე, აუდიტორიაში/ლაბორატორიაში მერხებისა და სკამების რაოდენობა)
 - სრულიად ვეთანხმები
 - ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები სრულიად
 - მიჭირს პასუხის გაცემა

2. ფლობთ თუ არა ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისებზე (მაგ. საკონსულტაციო, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო-ტექნიკური მხარდაჭერა და ა.შ.)
 - დიახ
 - არა

3. „დიახ“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მონიშნოთ კონკრეტული სერვისები (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 - ჯგუფური სამუშაოებისთვის საჭირო სივრცე
 - საკონსულტაციო სივრცეები
 - გამართული საინფორმაციო-ტექნიკური მხარდაჭერა
 - საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა
 - საერთაშორისო ბიბლიოთეკებზე წვდომა
 - ბიბლიოთეკაში კომფორტული სამუშაო გარემო (სამკითხველო, კომპიუტერები, ასლგადამღები, პრინტერი)
 - ბიბლიოთეკის თანამშრომლის მხარდაჭერა (კონსულტაციებით, საჭირო ლიტერატურის მოძიებაში დახმარებით)
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____

4. გისარგებლიათ თუ არა მე-3 კითხვაში მითითებული სერვისებით:
 - დიახ
 - არა

5. „არა“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მონიშნოთ მიზეზი (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 - არ დამჭირვებია ამ სერვისებით სარგებლობა
 - ვერ შევძელი სარგებლობა ამ სერვისის გაუმართავობის/მოუწერიგებლობის გამო
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____

6. ბიბლიოთეკით სარგებლობის შემთხვევაში, გთხოვთ უპასუხოთ (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 - სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია
 - დარგის თანამედროვე ლიტერატურა ხელმისაწვდომია
 - ხელმისაწვდომია კომფორტული სამიწებო სისტემები
 - ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი მისაღებია
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____

7. კომუნიკაციისთვის რომელ ფორმას იყენებს უნივერსიტეტი (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- ვებ-გვერდს
 - ელ-ფოსტას
 - MOODLE-ს
 - ფეისბუქს
 - ინდივიდუალურ შეხვედრებს
 - ჯგუფურ შეხვედრებს
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
8. ეფექტური კომუნიკაციისთვის რომელი ფორმა იქნებოდა თქვენთვის მისაღები (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- ვებ-გვერდი
 - ელ-ფოსტა
 - MOODLE
 - ფეისბუქი
 - ინდივიდუალური შეხვედრები
 - ჯგუფური შეხვედრები
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
9. გთხოვთ, მონიშნეთ რა ინფორმაციას ფლობთ სწავლების საფასურთან დაკავშირებით (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- უნივერსიტეტში მოქმედებს რეიტინგული დაფინანსების სისტემა
 - უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების საფასურის დაფარვის მოქნილი სქემა (გრაფიკი)
 - უნივერსიტეტში შესაძლებელია სწავლების საფასურის გადახდა სწავლის დასრულების შემდეგ
 - უნივერსიტეტში არსებობს სოციალური მხარდაჭერის პროგრამები (მაგ. განხვავებული ტარიფები სოციალურად დაუცველთათვის, დამატებითი გრანტები და ა.შ.)
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
10. დაფინანსების სქემები/პირობები არის სამართლიანი და გამჭვირვალე
- სრულიად ვეთანხმები
 - ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები სრულიად
 - მიჭირს პასუხის გაცემა
11. სასწავლო ცხრილი, ლექციებისა და შესვენების ხანგრძლივობა არის ოპტიმალური
- სრულიად ვეთანხმები
 - ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები სრულიად
 - მიჭირს პასუხის გაცემა
12. სემესტრში/ტრიმესტრში შეთავაზებული დატვირთვა (სასწავლო კურსების, კვირების და სალექციო საათების რაოდენობა) მისაღებია
- სრულიად ვეთანხმები
 - ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები სრულიად
 - მიჭირს პასუხის გაცემა

13. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- საინფორმაციო შეხვედრებს
 - ინფორმაციის დროულად მიწოდებას, განცხადებებზე და შეიღებზე დროულ რეაგირებას
 - ინფორმაციის კვალიფიციურად, გასაგებად, ამომწურავად და თავაზიანად მიწოდებას
 - სტუდენტის დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
14. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა მოტივატორების შექმნას (მაგ. მიღწევები და აღიარება, პასუხისმგებლობა, საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვნების გაცნობიერება, მრავალფეროვანი გარემო, გამოწვევები, ნდობის გამოცხადება)
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
15. უნივერსიტეტი ითვალისწინებს და მხარს უჭერს სტუდენტთა შემდეგ ინიციატივებს (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- სასწავლო
 - კვლევითი
 - შემოქმედებითი
 - სპორტული
 - გასართობი აქტივობები
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
16. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას გაცვლითი ან/და ერთობლივი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების ან/და კვლევების შესახებ
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
17. სტუდენტთა მხარდაჭერა დასაქმების და კარიერული კუთხით არის მისაღები
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
18. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/შექმნა/მოდიფიკაციაში
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
19. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
20. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მიმდინარე და შუალედური გამოკითხვები, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები და ა.შ) არის გამართული
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა

21. უნივერსიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს
 სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
22. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ჩაერთოს ლექტორთა შერჩევ პროცესში
 სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
23. არსებობს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა
 სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
24. უნივერსიტეტი სტუდენტებს აცნობს (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 სასწავლო რეგულაციებს და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მოძიების გზებს
 ხელშეკრულებების პირობებს
 სტუდენტთა უფლებებს და ამ უფლებების დაცვის მექანიზმებს
 მიჭირს პასუხის გაცემა
25. 24-ე კითხვაში მონიშნული რეგულაცია/ხელშეკრულება/მექანიზმები არის (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 მკაფიო
 გამჭვირვალე
 სამართლიანი
 ეფექტური
 მიჭირს პასუხის გაცემა
 სხვა _____

უსად–ს შეფასების კითხვარი პედაგოგებისთვის

1. უნივერსიტეტში არის კომფორტული გარემო (უსაფრთხოება, ტემპერატურა, განათება, სისუფთავე, აუდიტორიაში/ლაბორატორიაში მერხებისა და სკამების რაოდენობა)
 - სრულიად ვეთანხმები
 - ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები
 - არ ვეთანხმები სრულიად
 - მიჭირს პასუხის გაცემა

2. ფლობთ თუ არა ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისებზე, მაგ. საკონსულტაციო, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო–ტექნიკური მხარდაჭერა და ა.შ.
 - დიახ
 - არა

3. „დიახ“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მონიშნოთ კონკრეტული სერვისები (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 - სამუშაოებისთვის საჭირო სივრცე
 - საკონსულტაციო სივრცეები
 - გამართული საინფორმაციო–ტექნიკური მხარდაჭერა
 - საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა
 - საერთაშორისო ბიბლიოთეკებზე წვდომა
 - ბიბლიოთეკაში კომფორტული სამუშაო გარემო (სამკითხველო, კომპიუტერები, ასლგადამღები, პრინტერი)
 - ბიბლიოთეკის თანამშრომლის მხარდაჭერა (კონსულტაციებით, საჭირო ლიტერატურის მოძიებაში დახმარებით)
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____

4. გისარგებლიათ თუ არა მე-3 კითხვაში მითითებული სერვისებით:
 - დიახ
 - არა

5. „არა“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მონიშნოთ მიზეზი (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 - არ დამჭირვებია ამ სერვისებით სარგებლობა
 - ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი სარგებლობა ამ სერვისის არარსებობის გამო
 - ვერ შევძელი სარგებლობა ამ სერვისის გაუმართავობის/მოუწერივლობის გამო
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____

6. ბიბლიოთეკით სარგებლობის შემთხვევაში, გთხოვთ უპასუხოთ (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
 - სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია
 - დარგის თანამედროვე ლიტერატურა ხელმისაწვდომია
 - ხელმისაწვდომია კომფორტული საძიებო სისტემები
 - ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი მისაღებია
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____

7. კომუნიკაციისთვის რომელ ფორმას იყენებს უნივერსიტეტი (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- ვებ-გვერდს
 - ელ-ფოსტას
 - MOODLE-ს
 - ფეისბუქს
 - ინდივიდუალურ შეხვედრებს
 - ჯგუფურ შეხვედრებს
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
8. ეფექტური კომუნიკაციისთვის რომელი ფორმა იქნებოდა თქვენთვის მისაღები (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- ვებ-გვერდი
 - ელ-ფოსტა
 - MOODLE
 - ფეისბუქი
 - ინდივიდუალური შეხვედრები
 - ჯგუფური შეხვედრები
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
9. უნივერსიტეტში შემუშავებულია ეფექტური სახელფასო პოლიტიკა
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
10. უნივერსიტეტში მოქმედებს წახალისების სამართლიანი სისტემა და პირობები გამჭვირვალეა
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
11. სასწავლო ცხრილი შემუშავებულია ურთიერთთანამშრომლობით
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
12. სემესტრში/ტრიმესტრში შემოთავაზებული დატვირთვა (სასწავლო კურსების, კვირების და სალექციო საათების რაოდენობა) მისაღებია
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა

13. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- საინფორმაციო შეხვედრებს
 - ინფორმაციის დროულად მიწოდებას, განცხადებებზე და შეიღებულ დროულ რეაგირებას
 - ინფორმაციის კვალიფიციურად, გასაგებად, ამომწურავად და თავაზიანად მიწოდებას
 - სტუდენტის დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
14. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა მოტივატორების შექმნას (მაგ. მიღწევები და აღიარება, პასუხისმგებლობა, საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვნების გაცნობიერება, მრავალფეროვანი გარემო, გამოწვევები, ნდობის გამოცხადება)
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
15. უნივერსიტეტი ითვალისწინებს და მხარს უჭერს შემდეგ ინიციატივებს (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- სასწავლო
 - კვლევითი
 - შემოქმედებითი
 - სპორტული
 - გასართობი აქტივობები
 - მიჭირს პასუხის გაცემა
 - სხვა _____
16. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პედაგოგთა ინფორმირებას გაცვლითი ან/და ერთობლივი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების ან/და კვლევების შესახებ
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
17. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პედაგოგთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/შეფასება/მოდულიზაციაში:
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
18. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პედაგოგთა ჩართულობას უსდ–ს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში:
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
19. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კითხვარები, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები და ა.შ) არის გამართული
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
20. უნივერსიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა

21. უნივერსიტეტი აცნობს პედაგოგებს სამუშაო აღწერილობებს:
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
22. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების (მაგ. სტუდენტთა შეფასებები უნდა იყოს ნორმალური განაწილების) შედგენა/დადგენაში პერსონალის ჩართვას
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა
23. უნივერსიტეტი აცნობს პედაგოგებს (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- სასწავლო რეგულაციებს და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მოძიების გზებს
- ხელშეკრულებების პირობებს
- დასაქმებულის უფლებებს და ამ უფლებების დაცვის მექანიზმებს
- მიჭირს პასუხის გაცემა
24. 23-ე კითხვაში მონიშნული რეგულაცია/ხელშეკრულება/მექანიზმები არის (შეგიძლიათ მონიშნოთ ერთზე მეტი პასუხი):
- მკაფიო
- გამჭვირვალე
- სამართლიანი
- ეფექტური
- მიჭირს პასუხის გაცემა
- სხვა _____
25. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამუშაო გარემოში ინტეგრაციისა და ეფექტური ჩართვისთვის საჭირო მხარდაჭერას
- სრულიად ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები არ ვეთანხმები სრულიად მიჭირს პასუხის გაცემა

განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების ფორმა

სასწავლო კურსი _____
 ლექტორი _____
 ჯგუფი _____
 საგანმანათლებლო საფეხური _____
 საგანმანათლებლო პროგრამა _____

N	კითხვა	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები სრულიად	მიჭირს პასუხის გაცემა
1	ლექტორი ავლენს სალექციო საკითხების სიღრმისეულ ცოდნას						
2	ლექტორი იცნობს დარგის ახალ კვლევებს, თანამედროვე ტენდენციებს და გამოწვევებს, მოჰყავს შესაბამისი მაგალითები						
3	ლექტორი მასალას გადმოსცემს საინტერესოდ და გასაგებად						
4	ლექტორს სწორად აქვს დაგეგმილი ლექცია (ლექცია, პრაქტიკული, დისკუსია გადანაწილება)						
5	ლექტორი ფლობს თანამედროვე და შედეგზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებს						
6	ლექტორი უზრუნველყოფს თეორიული მასალის განმტკიცება-განზოგადებას პრაქტიკული აქტივობებით (მაგ: ქეისი, პრაქტიკული სავარჯიშო და ა.შ.)						
7	ლექტორი უზრუნველყოფს დისკუსიის წამოწყებასა და სტუდენტების ჩართვას, ინტერაქციას						
8	ლექტორი დასმულ კითხვებზე პასუხობს ამომწურავად						
9	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე აღქმადია და ხელს უწყობს მასალის გაგებას						
10	ლექტორი უზრუნველყოფს აუდიტორიაში დისციპლინას						

შემფასებელი:

სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია _____
 აკადემიური საქმიანობა (მიმდინარე სამუშაო ადგილი და სასწავლო კურსები, რომლებსაც ახორციელებს)

პროფესიული საქმიანობა (მიმდინარე სამუშაო ადგილი და პოზიცია) _____

თარიღი: _____